ცვლილებები ჰუმანური ნარკოპოლიტიკისათვის

(ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის მიერ
მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების მოკლე აღწერა)

ცვლილებები ჰუმანური ნარკოპოლიტიკისათვის

(ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის მიერ მომზადებული
საკანონმდებლო ცვლილებების მოკლე აღწერა)

დოკუმენტი მომზადებულია ღია საზოგადოების ფონდების მხარდაჭერით

ცვლილებები ჰუმანური ნარკოპოლიტიკისათვის

(ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების მოკლე აღწერა)

არსებული ნარკოპოლიტიკა და მისი შედეგები

საქართველოში მოქმედი ნარკოტიკული დანაშაულის მომწესრიგებელი კანონმდებლობა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მკაცრია. გარდა იმისა, რომ ზოგადად ნარკოტიკის მოხმარება არის კრიმინალიზებული, სხვა ტიპის ნარკოტიკული დანაშაულებისთვის (შეძენა/შენახვა, კულტივირება) გათვალისწინებულია არაადეკვატურად მძიმე სანქციები. ნარკოტიკული ნივთიერებების დაახლოებით ¾-ისთვის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მცირე და საშუალო (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საწყის) ოდენობებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ნარკოტიკების უმცირესი ოდენობაც კი კანონით მიიჩნევა დიდ ოდენობად და მისთვის სანქციის სახით რამდენიმეწლიანი პატიმრობაა გათვალისწინებული. კრიმინალიზების და იზოლაციის ტენდენცია დამატებით მარგინალიზებას უწევს ამ ჯგუფს და ზრდის მათი და მათი ოჯახების სოციალურ მოწყვლადობას. ამასთან, ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი პირები მუდმივად სამართალდამცავი ორგანოების დაინტერესების ობიექტები ხდებიან. მათთან "თანამშრომლობის" და მათი რესურსის გამოყენების სურვილი პოლიციის მხრიდან ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლის შესაძლებლობასაც აჩენს.

მკაცრი კანონმდებლობა პრაქტიკაში კიდევ უფრო ხისტად აღსრულდება, რისი ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითიც იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმების ღირსების შემლახავი მეთოდებია. ამ ფონზე კი არასაკმარისია სამკურნალო და ზიანის შემცირების პროგრამების ხელმისაწვდომობა.

დღეს არსებული ნარკოპოლიტიკა ვერ აღწევს ხელშესახებ

შედეგებს და მისი რეალური ბუნება არაერთი წელია სცდება კიდეც დამოკიდებულებასთან ბრძოლის პრინციპებს. ნარკოტიკის მოხმარება არ მცირდება ქვეყანაში, ხოლო ნარკოტიკის პრობლემური მომხმარებლების რაოდენობა მუდმივად მზარდია (2009-2014 წლების მონაცემებით, ინექციური მომხმარებლის რაოდენობა 40 000-დან 50 000-მდე გაიზარდა)[1]. მკაცრი სანქცია და კონკრეტული ნარკოტიკული საშუალების შემცირება არ უდრის ნაკლებ მომხმარებელს, რადგან „ნარკო ბაზარზე“ მუდმივად ჩნდება ახალი ნივთიერებები, რომლებზეც სულ უფრო ნაკლები ინფორმაცია აქვს მოსახლეობას და შესაბამისად, მისი მოხმარება მეტ რისკთან და ზიანთან ასოცირდება. ასეთ პირობებში განუზომლად დიდია ნარკოტიკის ზედოზირების და თანმდევი მძიმე შედეგების საფრთხეები.

ამავდროულად, ქვეყანაში არ არსებობს სრულყოფილი და ინსტიტუციონალიზებული პირველადი პრევენციის სისტემა. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამები ჩანასახოვან მდგომარეობაშია, მაშინ როცა სამართალდამცავი სტრუქტურების მნიშვნელოვანი რესურსები ნარკოტიკის მომხმარებლის “დევნაზეა” მიმართული. 2015 წლის მონაცემებით, საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ პატიმართა 30%-ზე მეტი სწორედ ნარკოტიკული დანაშაულისთვის იხდის სასჯელს, ხოლო ციხიდან გამოსული ადამიანები საზოგადოებას უბრუნდებიან რიგი სამოქალაქო უფლებების შეზღუდვებით, რაც ფაქტიურად შეუძლებელს ხდის მათ სრულყოფილ რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციას.

მთელი რიგი სამართლებრივი, სოციალური თუ ფინანსური ფაქტორების გათვალისწინებით, აუცილებელია სისტემურად ახალი პოლიტიკის და მიდგომების შემუშავება, რომელიც ორიენტირებული იქნება ნარკოტიკის მოხმარების ზოგად პრევენციაზე, მკურნალობის და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამებსა და ზიანის შემცირებაზე, ხოლო

1 ნარკოვითარება საქართველოში, წლიური ანგარიში 2015, გვ. 20

სისხლისსამართლებრივი რეპრესიული მექანიზმები გამოყენებული იქნება როგორც უკიდურესი მექანიზმი ნარკოტიკების გავრცელებასთან და მის უკანონო ბრუნვაში მოქცევასთან საბრძოლველად.
ამ მიზნების მისაღწევად, ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის მიერ მომზადდა კანონპროექტი, რომელიც ეფუძნება ჰუმანური ნარკოპოლიტიკის შექმნის იდეას და იზიარებს როგორც კონკრეტული ჯგუფების, ისე ფართო საზოგადოების საჭიროებებისა და ინტერესების სამართლიან დაბალანსების პრინციპს.

პლატფორმის მიერ შემოთავაზებული მოდელის აღწერა

წარმოდგენილი კონცეფცია ითვალისწინებს ისეთ ახალ კომპონენტებს, როგორიცაა:

- *მოხმარების პრევენციაზე მიმართული სისტემის დანერგვა* - სპეციალურად შემუშავებული კურიკულუმის მიხედვით სასკოლო ასაკიდან მოსწავლეებისათვის ინფორმაციის მიწოდება ნარკოტიკის მოხმარების მძიმე შედეგებზე. აგრეთვე სისტემური საინფორმაციო კამპანია მოხმარების პრევენციაზე;
- *შეფასების და გადამისამართების კომისიების შექმნა* - კომისიები იქნებიან ის უმნიშვნელოვანესი რგოლი, რომელიც უზრუნველყოფს ნარკოტიკის მომხმარებლის ჩართვას ქვეყანაში არსებულ სარეაბილიტაციო/ზიანის შემცირების თუ სოციალურ პროგრამებში. კომისიები აგრეთვე ჩართულნი იქნებიან პრევენციულ აქტივობებშიც;
- *კონსულტირებისა და მკურნალობის სერვისების სპექტრის გაფართოება* - დღეს ქვეყანაში არსებობს მნიშვნელოვანი სერვისები ამ მიმართულებით, თუმცა ლიბერალიზებული

ნარკოპოლიტიკის პირობებში მნიშვნელოვანი იქნება აღნიშნული სერვისების როგორც გამრავალფეროვნება, ისე მათი გეოგრაფიული და ხარისხობრივი გაფართოება;

- *ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სისტემის ჩამოყალიბება* - აღნიშნული კომპონენტი გულისხმობს სპეციალური ცენტრების შექმნას, რომლებიც განსხვავებული ტიპის ფსიქო-სოციალურ სერვისებს შესთავაზებენ ნარკოტიკის მომხმარებლებს;

აგრეთვე, გარდამავალ პერიოდში მნიშვნელოვანი იქნება სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება, რასაც მთლიანობაში შესაძლოა დაჭირდეს ექვსი თვიდან ერთ წლამდე პერიოდი.

იმისათვის, რომ ზემოაღნიშნულ ინოვაციურ კომპონენტებს და ზოგადად ჯანდაცვით, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის და ზიანის შემცირების პროგრამებს ჰქონდეს სათანადო ეფექტები, აუცილებელია სისხლისსამართლებრივი მექანიზმების ფუნდამენტური მოდიფიცირება. ნარკოპოლიტიკის კონტექსტში რეპრესიული მექანიზმები გამოყენებული უნდა იყოს უკიდურეს შემთხვევებში და მისი ობიექტი არა ნარკომომხმარებელი, არამედ ნარკოტიკების მსხვილი ტრანზიტი და მათი საზოგადოებაში გავრცელება უნდა იყოს.

აქედან გამომდინარე, პლატფორმის მომზადებული კანონპროექტი ითვალისწინებს:

- *ყველა ტიპის ნარკოტიკული საშუალების მოხმარების/ მცირე ოდენობით შეძენა შენახვის დეკრიმინალიზაციას* - დეკრიმინალიზაციის საჭიროება განსაკუთრებით „მძიმე“ ნარკოტიკებისმომხმარებლებისმიმართარსებობს,რადგანსწორედ მათ ესაჭიროებათ სხვადასხვა ტიპის ჯანდაცვის/სარეაბილიტაციო და ზიანის შემცირების სერვისები სახელმწიფოსგან. კრიმინალის სტატუსის და თანმდევი მძიმე შედეგების შიშით კი ეს ადამიანები სახელმწიფოსთვის კვლავაც უხილავნი რჩებიან და ხშირ

შემთხვევაში უარს ამბობენ შეთავაზებულ პროგრამებზე;

- *სისხლისსამართლებრივი სანქციების შემსუბუქებას* - მომზადებული კანონპროექტით ნარკოპოლიტიკის მთავარი სამიზნე ხდება ნარკოტიკის გამავრცელებელი. ამდენად, სხვა ტიპის ნარკოტიკული დანაშაულებისთვის, რომლებიც არ უკავშირდება უკანონო გავრცელებას/გასაღებას, მოხდება სასჯელების ლიბერალიზაცია, რაც სამართლიანად და რისკების შესაბამისად გამიჯნავს დაწესებულ სანქციებს. ასევე დაიცავს ადამიანებს (რომლებიც ნარკოტიკის გავრცელებაში არ მონაწილეობენ), რომ მათ წლობით არ უწევდეთ საპატიმრო დაწესებულებაში ყოფნა, რაც ხშირ შემთხვევაში კონტრ-პროდუქტიულია და რეალურად იწვევს ადამიანის მდგომარეობის მნიშვნელოვნად დამძიმებას;
- *ნარკოტიკული ნივთიერებების დოზირების სამართლიან განსაზღვრას* - თითოეულ ნარკოტიკულ/ფსიქოტროპულ ნივთიერებას ადეკვატურად განესაზღვრება მცირე, სისხლის სამართლის საწყისი, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობები. მცირე ოდენობით კონკრეტული ნივთიერების უკანონო ფლობა ყველა შემთხვევაში უნდა დაისაჯოს ადმინისტრაციული წესით. ოდენობები განისაზღვრება წინასწარი მეთოდოლოგიით, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებული იქნება კონკრეტული ნივთიერების ნარკოლოგიური თრობის ხარისხი, მასზე დამოკიდებულების განვითარების რისკები, ნივთიერების მოხმარებით გამოწვეული ზიანის ინტენსივობა და სხვა ფაქტორები;
- *იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმება - ახლებურად ყალიბდება* იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზაც. კერძოდ, დაკონკრეტებულია იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმების საფუძვლები (სატრანსპორტო

მართვისას, კონკრეტული საქმიანობის განხორციელებისას). აგრეთვე, სწრაფი ურინოტესტირებით დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში, საჭიროა ე.წ. კონფირმაციული ტესტირებით პასუხის დადასტურება და შესაბამისი ნარკოლოგის მიერ კლინიკური თრობის ქვეშ ყოფნაზე დასკვნის გაცემა. ტესტირებაში მონაწილეობაზე უარი ჩაითვლება დადასტურებულ ფაქტად, რომ პირი იმყოფება ნარკოტიკული თრობის ქვეშ. ამ კონტექსტში შემდგომი რეფორმის მიმართულება უნდა იყოს ნარკოლოგიური დაწესებულებების შინაგან საქმეთა სამინისტროდან ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადანაცვლება;

- *ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები* - იმ ფონზე, რომ ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ოდენობების კანონის დონეზე განსაზღვრა შეუძლებელია, აუცილებელია დაბალანსებული და გაწონასწორებული საკანონმდებლო რეგულაციები ამ საკითხზე. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ფლობა (ნებისმიერი ოდენობით) შესაძლოა დარჩეს სისხლის სამართლის ფარგლებში, მაგრამ ამ ქმედებისთვის სასჯელის სახით არ უნდა იყოს გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა გასაღება.
- *მსჯავრდებულთა სამართლებრივი მდგომარეობა* - ნარკოტიკულ დანაშაულში მსჯავრდებულ პირთა სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, უქმდება ამ პირთა მიმართ დამატებითი უფლებების შეზღუდვის უსამართლო მექანიზმი (ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონი), რათა მათ ჰქონდეთ რესოციალიზაციის და საზოგადოებაში რეალურად დაბრუნების უკეთესი შესაძლებლობა;

ზემოაღნიშნული კომპონენტების ეფექტურად განხორციელების შემთხვევაში მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში შედეგად მივიღებთ

მეტად ინფორმირებულ საზოგადოებას (განსაკუთრებით მოზარდებს) ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული რისკების თაობაზე, უფრო მეტი ადამიანი მიმართავს სახელმწიფო და კერძო სერვისებს ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად. ამდენად სახელმწიფოს ექნება სწორი წარმოდგენა, რა ვითარებაა ნარკოტიკის მოხმარების კუთხით ქვეყანაში და რა ზომების გატარებაა საჭირო. ამავდროულად, შემცირდება პრობლემური მომხმარებლის რაოდენობა და ნარკოტიკის დოზის გადაჭარბებით გამოწვეული სიკვდილიანობა. დაიკლებს ისეთი დაავადებები, როგორიცაა აივ/შიდსი და B და C ჰეპატიტები. ასევე, სოციალური და ჯანდაცვის სისტემების დახვეწა შეამცირებს სხვა მეორადი პრობლემების და პირთა მოწყვლადობის მაჩვენებელს. აღსანიშნავია ისიც, რომ რეფორმის შედეგად მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული რესურსი გამოთავისუფლდება პენიტენციურ სისტემასა და პოლიციაში. სამართალდამცავ უწყებებში გაჩენილი ახალი რესურსები კი შესაძლებელია მიიმართოს ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო გავრცელებასთან საბრძოლველად.